საქართველოს პარლამენტი

ფრაქცია
"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8
ტელ.: (995 32) 99 82 27
ფაქსი: (995 32) 28 13 27
www. parliament.ge

№ 7743/6-1
13. 06. 2008 წ.

13.06.08

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით ბაქრაძეს

ბატონო დავით,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით დროებითი კომისიის შექმნას. ამგვარი კომისია შექმნილი იყო და მოქმედებდა წინა მოწვევის პარლამენტში. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პრობლემატიკა დღემდე აქტუალურია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პარლამენტის კომპეტენციის ფარგლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მოწესრიგებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა კოორდინირების, მათ განხორციელებაზე საპარლამენტო კონტროლის დაწესების, სამშვიდობო პროცესისათვის ხელის შეწყობისა და აღნიშნულ საკითხებზე შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებისა და წარდგენის, აგრეთვე იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებებზე სათანადო წინადადებების შემუშავების მიზნით საქართველოს ამ მოწვევის პარლამენტშიც შეიქმნას დროებითი კომისია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ვაყენებთ საქართველოს პარლამენტში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის შექმნის საკითხს. გთხოვთ, აღნიშნული საკითხი შეიტანოთ საქართველოს პარლამენტის უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

პატივისცემით,

უმრავლესობის ლიდერი,

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"

თავმჯდომარე

პეტრე ცისკარიშვილი